

I. 1. სადოქტორო პროგრამის დასახელება

რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერება
Germanic and Romance Linguistics

2. დარგი

ენათმეცნიერება
Linguistics

II. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

Ph.D.

III. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი/სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამა შესრულებულ იქნება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების დეპარტამენტების მიერ

IV. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი:

საქართველოს კანონით «უმაღლესი განათლების შესახებ», დოქტორანტურა არის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პროფესიული მომზადების დამამთავრებელი საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომლის მიზანია სამეცნიერო კადრების მომზადება. წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს ლინგვისტური კვლევის საკვანძო მომენტების გამოკვეთასა და სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისათვის; დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას. კურსდამთავრებულს უნდა შესწევდეს უნარი, კრიტიკულად გააანალიზოს დაგროვილი ცოდნა, შემოქმედებითად განავითაროს იგი დანერგოს პუბლიკაციებში, სწავლებაში და პრაქტიკაში.

დოქტორანტურის აღნიშნული კურსი ითვალისწინებს მაღალკვალი-ფიციური სპეციალისტების მომზადებას რომანულ-გერმანიკულ ენათ-მეცნიერებაში, რომელთა მომავალი მუშაობის სფეროები იქნება: უმაღლეს სასწავლებლებში თეორიული საგნების წაკითხვა, სამეცნიერო მუშაობა შესაბამის საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დასახელებულ დარგებში მაღალპროფესიული სპეციალისტების ნაკლებობის აღმოფხვრას.

გარდა ამისა მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეპირისპირებითი ენათ-მეცნიერების სპეციალიზაციის გამოკვეთა კვლევითი საქმიანობის ზოგად სპექტრში. ენათა შეპირისპირებითი ტიპოლოგია განსაკუთრებით აქტუალურად და მიმზიდველად გვეჩვენება შემდგომში ჩვენს უნივერსიტეტში ახალი, მძლავრი და თანამედროვე კვლევითი კერის ჩამოყალიბების თვალსაზრისით ქართული და რომანულ-გერმანიკული ენების შესწავლის კუთხით.

სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს უწყვეტი თეორიული და პრაქტიკული ციკლის დამამთავრებელ ეტაპს. იგი ძირითადად დისციპლინათა შორის ზღვარზე გადის და მოიცავს ზოგადად საენათმეცნიერო, და კერძოდ, რომანული და გერმანიკული ენათმეცნიერების ყველაზე თანამედროვე და აქტუალურ საკითხებს. მასში ასახულია რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერების მიმართება თანამედროვე ზოგადსაენათმეცნიერო აზროვნებასთან. ცალკეული ენების მდგომარეობა განიხილება, როგორც ზოგადთეორიული პოზიციიდან, ისე მათ სპეციფიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით. პროგრამა მოიცავს საკითხთა მრავალმხრივ და მრავალფეროვან წრეს - ფონოლოგიას, კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, კოგნიტურ ლინგვისტიკას, შეპირისპირებით ლინგვისტიკას, გამოყენებით ლინგვისტიკას. ენის სტრუქტურული მდგომარეობა გადმოცემულია სინტაქსის თანამედროვე თეორიების და კომუნიკაციური გრამატიკის საფუძველზე. ტექსტის ანალიზის კლასიკური, თანამედროვე და ულტრა-თანამედროვე მეთოდები გაერთიანებულია ტექსტის ინტერპრეტაციის ფრანგული სკოლის თეორიასთან. გერმანიკული და რომანული ენათმეცნიერების და სინქრონულ-დიაქრონული მეთოდოლოგიის საკითხები განიხილავს რომანულ-გერმანიკულ ენათა მდგომარეობას ისტორიულ ჭრილშიც და თანამედროვე სამყაროს გლობალიზაციის ფონზე ლინგვისტური და კულტურული იდენტურობის ძიების თვალსაზრისითაც.

სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სრულფასოვანი სპეციალისტი გერმანიკული და რომანული ენათმეცნიერების სფეროში ძირითადად შეპირისპირებითი ენათმეცნიერების სპეციალიზაციით; გააცნოს ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეცნიერული თეორიები, ისტორიულ-შედარებითი და დესკრიპციული ანალიზის პრინციპები; ენის დამუშავების კომპიუტერული მეთოდები; გაულრმავოს ცოდნა აღნიშნულ დარგში.

შედეგები:

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბებული მკვლევარი ახალ სიმაღლეზე აიყვანს ცოდნას ზოგად და გამოყენებით ენათმეცნიერებაში. დოქტორი ფლობს თანამედროვე კოგნიტიურ მეცნიერებათა საფუძვლებს და კვლევის მეთოდოლოგიას, მას შესწევს ორიგინალური და შემოქმედებითი კვლევის უნარი და შეუძლია გადასცეს შეძენილი ცოდნა და კვლევის შედეგები ფართო საზოგადოებას.

სადოქტორო კურსის გავლის შედეგად დოქტორანტი შეიძენს რომანულ-გერმანიკული და შეპირისპირებითი ენათმეცნიერების სფეროში სპეციალისტის სტატუსს. მას ექნება ენათმეცნიერების ამ სფეროში დამოუკიდებელი კვლევის უნარი, ენათმეცნიერების თანამედროვე პრობლემატიკისა და მეთოდოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, მოახდინოს შესაბამის სფეროებში ადეკვატური ორიენტაცია, შესძლოს საკითხების ორიგინალური დასმა და მოსაზრებათა ორიგინალური განვითარება და კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება. მას შესაძლებლობა ექნება წაიყვანოს სასწავლო კურსები უმაღლეს სასწავლებლებში რომანულ-გერმანიკულ და შეპირისპირებით ენათმეცნიერებაში.

დოქტორანტი მიიღებს სათანადო ცოდნას სპეციალობაში იმ ინტერდისციპლინარული სფეროებისა და მეთოდების შესწავლით, რომლებიც ხელს შეუწყობენ მისი სამეცნიერო მუშაობის უნარის – ადეკვატური რეფლექსიისა და კრიტიკული ხედვის უნარის გამომუშავებას უკვე არსებული კვლევების შედეგებთან მიმართებაში. შედეგად დოქტორანტი შეიძენს საგნის სპეციფიკის შესაბამის საგნობრივ, ენობრივ, სოციალურსა და კულტურულ კომპეტენციებს, რაც მას მაღალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკვალიფიკაციო ნაშრომების შექმნას, დასრულებასა და დაცვაში დაეხმარება.

დასაქმება:

დასაქმების სფერო მოიცავს ენობრივი აღწერის, ანალიზის, კომუნიკაციის, პედაგოგიკის სფეროს. უპირველესი და უმთავრესი დოქტორანტურის კურსდამთავრებულისათვის უნდა იყოს მისი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში თეორიული კურსების ლექტორად, ბაკალავრებისა და მაგისტრების სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სამეცნიერო ინსტიტუტებში თანამშრომლობა.

დოქტორის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით. დასაქმების სფეროები:

- უმაღლესი სკოლა – სამეცნიერო და სასწავლო სფერო;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.

V. პროგრამის სასწავლო კომპონენტის აღწერა

სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი) დოქტორანტის სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდურ დახელოვნების მიზნით მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- დარგობრივი კურსები (50 კრედიტი).

- დარგობრივი კურსებისგან შემდგარი მოდული, რომელიც ითვალისწინებს სადისერტაციო თემიდან გამომდინარე სპეციალური და მომიჯნავე საგნების გაღრმავებულ შესწავლას და მთავრდება გამოცდით.

- დარგის სწავლების მეთოდიკა და პედაგოგიური პრაქტიკა (10 კრედიტი).

- სწავლების თანამედროვე მეთოდების მოდული, რასაც მოსდევს დოქტორანტის ჩართვა სასწავლო პროცესში (პროფესორის ხელმძღვანელობით ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება). მოდულის დასრულების შემდეგ დოქტორანტი ფასდება იმ პროფესორის მიერ, რომელიც წარმოდგენილ მოდულს ხელმძღვანელობას უწევს.

აღნიშნული მოდელი გათვლილია სამწლიანი პროგრამისათვის. აქედან 2 წელი მოიცავს დარგობრივ მოდულს და სწავლების თანამედროვე მოდულს – პედაგოგიურ პრაქტიკას, ხოლო მე-3-ე წელი ეთმობა კვლევითი კომპონენტის დასრულებას.

VI. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს განსაზღვრავს „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“.

მუხლი 8. დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები

8. 1. დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს მაგისტრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

8. 2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს სხვა ქვეყნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს (საქართველოს “უმაღლესი განათლების შესახებ” კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

8. 3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

8. 4. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვანი პროგრამით სურს სწავლა, მაგრამ ქართული მისი დედაენა არ არის, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს.

8. 5. სადოქტორო პროგრამების ხასიათიდან გამომდინარე, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ შეიძლება განსაზღვროს დამატებითი მოთხოვნები.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება

ძირითადი უცხო ენის – ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების C1 დონეზე ცოდნა, ბრიტანეთის საბჭოს სერთიფიკატი, გოეთეს ინსტიტუტის სერთიფიკატი, გერმანული ენის ავსტრიული დიპლომი, ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მიერ გაცემული ფრანგული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი (**DELF**) (**TCF**)

VII. პროგრამაზე მისაღებ დოქტორანტთა რაოდენობა

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე ამჟამად სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 6-8 დოქტორანტის მიღება.

VIII. პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა

სადოქტორო ნაშრომი შესრულდება ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების დეპარტამენტების ბაზაზე. უნივერსიტეტის აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თავის მხრივ მოიცავს როგორც მდიდარ საფაკულტეტო

ბიბლიოთეკას, ისე დეპარტამენტებთან არსებულ ბიბლიოთეკებს, კომპიუტერულ ცენტრსა და პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვილ კაბინეტებს უწყვეტი ინტერნეტით. აწსუ №1114 აუდიტორიის ტექნიკური აღჭურვილობა საშუალებას იძლევა დისტანციური მართვის სალექციო თუ სემინარული ტიპის მუშაობის ჩატარებისა. აღნიშნული დისტანციური მართვის აუდიტორიის გამოყენებას ვგეგმავთ როგორც თსუ პროფესორებთან ასევე უცხოელ კონსულტანტებთან გარკვეული სახის სამუშაო პროცესში.

უცხოურ აკადემიურ, და პედაგოგიურ დაწესებულებებსა, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებთან, კერძოდ - ინგლისის, გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის საელჩოები, ნიუპორტის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), გერმანიის და ავსტრიის აკადემიური გაცვლის სამსახურები, ბრიტანეთის საბჭო, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოება, ჰაიდელბერგის, ვერსალის უნივერსიტეტები - წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება დოქტორანტისათვის შესაძლებელს ხდის საჭიროების შემთხვევაში მის საზღვარგარეთ მიზნობრივ მივლინებას პარტნიორ უნივერსიტეტებსა და სასწავლო ცენტრებში ან კონსულტაციებს უცხოელ პროფესორებთან.

IX. 1. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

პროფ. მადონა მეგრელიშვილი – ინგლისური ენათმეცნიერება

2. სადოქტორო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:

პროფ. მ. მეგრელიშვილი – შეპირისპირებითი ლინგვისტიკა
ასოც. პროფ. ი. ყიფიანი - გამოყენებითი ლინგვისტიკა; პედპრაქტიკა
ასოც. პროფ. ე. ქორიძე - ტექსტის ლინგვისტიკა
ასოც. პროფ. ე. თოფურია- სინტაქსი
ასოც. პროფ. ი. გრძელიძე - მეცნიერული წერის საფუძვლები
პროფ. მ. მიქაძე – ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები
ასოც. პროფ. ე. ჟორჟოლიანი – რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერება
ასოც. პროფ. რ. გვილავა - ლინგვისტური სემანტიკა
ასისტ. პროფ. ნ. ზვიადაძე – სოციოლინგვისტიკა
ასისტ. პროფ. ნ. ნიჭარაძე - დარგის სწავლების მეთოდოლოგია
ასისტ. პროფ. მ. ალავიძე - კომუნიკაციური გრამატიკა

მოწვეული პირები:

პროფ. მ. ნათაძე - კომუნიკაციური ლინგვისტიკა

X. სადოქტორო პროგრამაში მონაწილე სხვა სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებები

1. ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. ილ. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედ. რაოდ.	კრედიტების რაოდენობის სემესტრული განაწილება						გამოცდა						საათების რაოდენობა						
				I	II	III	IV	V	VI	I	II	III	IV	V	VI	I	II	III	IV	V	VI	
1	კომუნიკაციური ლინგვისტიკა	სავალდ.	5	5							×						30					
2	შეპირისპირებითი ლინგვისტიკა	სავალდ.	5	5							×						30					
3	II უცხო ენა	სავალდ.	5	5							×						30					
4	ა) სინტაქსი ბ) რომანულ-გერმანიკული ენათ- მეცნიერება	არჩევ.	5	5							×						30					
5	ა) ლინგვისტური სემანტიკა ბ) თანამედროვე ლინგვისტური თეორიები	არჩევ.	5	5							×						30					
6	გამოყენებითი ლინგვისტიკა	სავალდ.	5		5							×						30				
7	ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები	სავალდ.	5		5							×						30				
8	ა) მეცნიერული წერის საფუძვლები ბ) სოციოლინგვისტიკა	არჩევ.	5		5							×						30				
9	დარგის სწავლების მეთოდოლოგია	სავალდ.	5			5							×						30			
10	ტექსტის ლინგვისტიკა	სავალდ.	5			5							×						30			
11	ა) კომუნიკაციური გრამატიკა ბ) კოგნიტური ლინგვისტიკა	არჩევ.	5			5							×						30			
12	პედაგოგიური პრაქტიკა	სავალდ.	5				5															
13	კოლოქვიუმი	სავალდ.	20		5	5	5	5														
14	სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება	სავალდ.																				
15	დისერტაციის დაცვა	სავალდ.	100	5	10	10	20	25	30													
			180	30	30	30	30	30	30	5	3	3					180					

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდისა

- ა) კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ზემოთმოყვანილი სისტემით;
- ბ) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით: 1-"სრულიად არადამაკმაყოფილებელი", 2-"არადამაკმაყოფილებელი", 3 -"დამაკმაყოფილებელი" , 4 - " საშუალო", 5 - "კარგი" , 6 - "ძალიან კარგი" , 7 - "ფრიადი" ;
- გ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული E_0 ;
- დ) E განისაზღვრება, როგორც E_0 -თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ E_0 არის $n,5$ სახის, მაშინ E განისაზღვრება $n+1$ -ის ტოლად);
- ე) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება ბ) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ $2/3$ -ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" - ით ან "არადამაკმაყოფილებელი" - ით);
- ვ) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ - ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E \geq 2$;
- ზ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 1$.